

## საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო კავშირების ანალიზი

### ნინო მელიტაური

დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
nino.melitauri934@eab.tsu.edu.ge

ვაჭრობის დიბეჩაღიზაციის პირობებში მთავრობებმა შეცვადეს სამოქმედო პირობეციონისტური ინსტიტუტები და საშინაო ინდუსტრიების დაცვას, უმეტეს შემთხვევაში, ახორციელებენ ახასაგაჩიფო ბაჩიეხების ვაჩიაციებით. საქაჩთველოს მსოფლიოს მჩავად ქვეყანასთან აქვს გაფოჩმებური ომბხივი თუ მჩავადმბხივი სავაჭრო ხელშეკრულება, ჰომდის მიზანი სავაჭრო ნაკადების სტიმულირებაა. მიუხედავად იმისა, ჰომ ეს ხელშეკრულებები ამყაჩებს თავისუფად სავაჭრო ჰეჭიმებს, ჰაც ვაჭრობას გაჩიფების გვირთისგან ათავისუფლებს, ახასაგაჩიფო ბაჩიეხების მოქმედება ჰივ შემთხვევაში სხურმასშტაბიანი. ამ ახასაგაჩიფო ბაჩიეხების ფონზე, სტაგიაში მოცემულია საქაჩთველოს საეჩთაშოჩისო სავაჭრო ნაკადების სტიმულირების ეფექტიანობის შეფასების მცდებობა, ეკონომიკური დიგეჩაგუჩაში ცნობიდი ისეთი ინდექსების გამოყენებით, ჰოგოჩიცაა ვაჭრობის გახსნილობის ინდექსი, ვაჭრობის გეოგრაფიური და სექტოჩური კომპოზიციის ინდექსები, ექსპოჩტის დივეჩსიფიკაციის დონის ინდექსი, ექსპოჩტის ზიღის მაჩინები და სექტოჩების მიხედვით შედაჩებითი უპიჩატესობის ინდექსი.

თავისუფალი სავაჭრო ჰეჭიმები საქაჩთველოს საეჩთაშოჩისო სავაჭრო ნაკადებზე დადებითად აისახება, ჰასაც საქაჩთველოს ვაჭრობის გახსნილობის ინდექსი გამოხატავს. მჩავად სავაჭრო პაჩტნიოჩთან, მათ შოჩის, ევოკავშიჩის ზოგიჩთ ქვეყანასთან, საქაჩთველო მსგავსი ინდუსტრიის წიღით ახორციელებს ვაჭრობას, ჰაც დადებითი მარვენებელია ამ ეკონომიკებთან სექტოჩური კონვეჩგენციის მიმაჩთვებით. ასევე, საქაჩთველოს ეკონომიკას ექსპოჩტის დივეჩსიფიკაციის დონე დაბადი აქვს, თუმცა, დოკადუჩად, ეკონომიკის ექსპოჩტის ზიღის მაჩინები ნოჩმადუჩია.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ევროკავშირი, საერთაშორისო ვაჭრობა, WTO, სავაჭრო ინდექსები.

**JEL Codes:** F40, P33, P45

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, ვაჭრობის ლიბერალიზაციის მოტივით, ტარიფების მნიშვნელობა შემცირდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პროტექციონიზმი აღარ არსებობს. დღესდღეობით, მთავრობებმა შეცვალეს სამოქმედო პროტექციონისტული ინსტრუმენტები და საშინაო ინდუსტრიების დაცვას, უმეტეს შემთხვევაში, ახორციელებენ არასატარიფო ბარიერების ვარიაციებით, როგორცაა მაგალითად, ფიტოსანიტარული ნორმები და ხარისხის სტანდარტები, საიმპორტო და საექსპორტო კვოტები<sup>1</sup> და ა.შ.

მიმდინარე მდგომარეობით, საქართველოს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან გაფორმებული აქვს ცალმხრივი თუ ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება. რა თქმა უნდა, მსგავსი შეთანხმებების მიზანი სავაჭრო ნაკადების სტიმულირებაა. თუმცა, მიუხედავად თავისუფალი სავაჭრო რეჟიმებისა, რაც ვაჭრობას ტარიფების ტვირთისგან ათავისუფლებს, არასატარიფო ბარიერები, რიგ შემთხვევაში, სრული ზომით მოქმედებს. მაგალითად, ევროკავშირთან გაფორმებული DCFTA რეჟიმი, ერთი მხრივ, საქართველოს სრულად ათავისუფლებს სატარიფო სახის გადასახადებისგან, მაგრამ, მეორე მხრივ, არასატარიფო ბარიერები სავაჭრო ნაკადების ნომერ პირველი დამაბრკოლებელი ფაქტორია.

წარმოდგენილ ნაშრომში საკმარისად დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მიმდინარე სურათი. კერძოდ, 2020 წლის სექტემბრის თვის ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკაზე დაყრდნობით, შეფასებულია ვაჭრობის სტრუქტურული მახასიათებლები და ინდექსები: საქართველოს ეკონომიკის ვაჭრობის გახსნილობის ინდექსი, როგორც აგრეგირებულ, ასევე, ინდუსტრიის დონეზე; ვაჭრობის სექტორული კომპოზიცია; აქტიურ სავაჭრო პარტნიორებთან შიდა ინდუსტრიული ვაჭრობის განვითარების დონე; ექსპორტის დივერსიფიკაციის დონე; ექსპორტის ზრდის მარჯინები; შედარებითი უპირატესობის ინდექსები სექტორების მიხედვით.

<sup>1</sup> ექსპორტის რაოდენობის შეზღუდვებს საექსპორტო ქვეყნები ძირითადად აწესებენ იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო ვაჭრობაში ინდექსები გვეხმარება ქვეყნის სავაჭრო საქმიანობის შედეგების წარმოჩენაში. ვაჭრობის შედეგებში მოიაზრება: 1) რამდენს ვაჭრობს, 2) რითი ვაჭრობს და 3) ვისთან ვაჭრობს ქვეყანა. სამივე კომპონენტის ანალიზი მნიშვნელოვანია, ვინაიდან, თითოეული მათგანი წარმოშობს შიდა ეკონომიკაზე გავლენის მქონე ეფექტებს (WTO, 2011).

ქვეყნის ვაჭრობის მოცულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ვაჭრობის გახსნილობასთან, რაც ზომავს ეკონომიკის შესაძლებლობას ინტეგრირდეს მსოფლიო სავაჭრო წრეებსა და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში. სავაჭრო ღიაობა შეიძლება ასევე გავიგოთ, როგორც სავაჭრო პოლიტიკის „მიღწევის“ მაჩვენებელი, რამდენადაც ის გამომდინარეობს პოლიტიკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან (მაგ. სავაჭრო ბარიერები და სავალუტო რეჟიმები).<sup>1</sup>

რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ რითი ვაჭრობს ქვეყანა, აქ იგულისხმება ქვეყნის იმპორტისა და ექსპორტის სტრუქტურა, პროდუქტიული ფაქტორების ანალიზით და მისთვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებით. ზოგიერთი ფაქტორი, მაგალითად, მინა და სხვა რესურსები, ქვეყანას ბუნებრივად ეძლევა, ხოლო ზოგიერთი, მაგალითად, ფიზიკური კაპიტალი და სხვ. დღევანდელი სავაჭრო პოლიტიკის შედეგია. თუ რითი ვაჭრობს ქვეყანა, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ქვეყნის შედარებითი უპირატესობის მაჩვენებლებთან ამა თუ იმ სექტორში. შედარებითი უპირატესობის ანალიზისას ფაქტორ-აღჭურვის მონაცემები იშვიათად არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ვიყენებთ გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსს (RCA), რომელიც იანგარიშება სავაჭრო მონაცემებიდან.

მესამე საკითხი - ვისთან ვაჭრობს ქვეყანა - ავლენს იმ ფაქტს, თუ რამდენად მომგებიან პოზიციაში იმყოფება ქვეყანა. მაგალითად, მზარდ და ტექნოლოგიურად ძლიერ ბაზრებთან სავაჭრო ხაზების არსებობას მოჰყვება ეკონომიკის მწარმოებლურობის ზრდა. აქ მნიშვნელოვანია გეოგრაფიული და ტერიტორიული მანძილები ქვეყნებს შორის.

1 სავაჭრო ღიაობაში გასათვალისწინებელია ასევე გეოგრაფიულ და სხვა ბუნებრივი ფაქტორები, მაგალითად, ზღვებთან სიახლოვე, დისტანცია და ა.შ.

## საერთაშორისო სავაჭრო ინდექსები საქართველოს ეკონომიკისთვის

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილი ვაჭრობის სხვადასხვა ინდექსი ვაჭრობის სხვადასხვა ასპექტს ახასიათებს და ხსნის.

პირველი ინდექსი, რომელიც საინტერესოა საქართველოს ეკონომიკისთვის, არის ვაჭრობის გახსნილობის ინდექსი (Leamer, 1988). ის გამოითვლება მოცემულ დროში სავაჭრო ნაკადების (ექსპორტისა და იმპორტის ჯამის) ფარდობით მთლიან სამამულო პროდუქტთან:

$$O^i = \frac{X^i + M^i}{Y^i}$$

სადაც  $i$  ქვეყნის აღმნიშვნელი ინდექსია,  $X^i$  - არის შესაბამისი ქვეყნის მთლიანი ექსპორტი,  $M^i$  - მთლიანი იმპორტი და  $Y^i$  - მთლიანი საშუალო პროდუქტი. ზოგადად, რაც უფრო მაღალია  $O^i$ -ის მნიშვნელობა, მით მეტად გახსნილია ქვეყნის ეკონომიკა. ანალიზისთვის ძალიან გამოსადეგია ინდექსის დროითი მწკრივი. ცხრილი 1-ში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკის ვაჭრობის გახსნილობის ინდექსები 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით. როგორც ვხედავთ, ინდექსის მნიშვნელობა 2017 წლიდან საკმაოდ გაიზარდა, რაც კარგი ტენდენციაა და ნიშნავს, რომ გაზრდილ საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების ფონზე, ბოლო წლებში, საქართველოს ეკონომიკის გახსნილობის დონე მატულობს.

### ვაჭრობის გახსნილობის ინდექსი (მლნ აშშ დოლარი)

ცხრილი 1

წლები	ექსპორტი	იმპორტი	მსკ	გახსნილობის ინდექსი
2015	2,204.2	7,304.2	14,948.2	0.636
2016	2,117.1	7,341.9	15,141.7	0.625
2017	2,745.7	8,056.6	16,248.5	0.665
2018	3,379.7	9,361.6	17,596.6	0.724
2019	3,798.4	9,516.9	17,736.6	0.751

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ ცხრილში მოყვანილი ინდექსის საშუალო პერიოდული მნიშვნელობა – 0.68, გონივრულ თანხვედრაშია ჩვენ მიერ

2014-2019 წლების დროის ინტერვალისთვის ექსპერტული შეფასებით დათვლილ ვაჭრობის შეფერხების ინდექსთან, რომელის მნიშვნელობაც შეადგენს 0.32-ს (მელითაური, 2020).

შემდეგი მნიშვნელოვანი ინდექსი დაკავშირებულია საქართველოს სავაჭრო კომპოზიციასთან, ანუ ვაჭრობის სექტორულ და გეოგრაფიულ ორიენტაციასთან (Grubel, 1975). სექტორული კომპოზიცია რამდენიმე მიზეზით გვინტერესებს. პირველი, რომ გავარკვიოთ რომელ სექტორებში ხდება ტექნოლოგიური წინსვლა და მისი თანამდევნი ეკონომიკური ზრდის პროცესები. აქ, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე, დასაზუსტებელია თანამდევნი შედეგები ნამდვილად ზრდას გადაძლევს, თუ სანინალმდევო პროცესები მიდის. მეორე, სექტორულ დონეზე უფრო ადვილია ეკონომიკური ზრდის შემცირების გამომწვევი პროცესების იდენტიფიცირება.

გეოგრაფიული კომპოზიცია წარმოაჩენს მსოფლიოს რეგიონებს შორის დინამიკურ კავშირთა ერთობებს და გვეხმარება ექსპორტის პოპულარიზაციის სტრატეგიების შემუშავებაში.

მრავალი ქვეყნისთვის საერთაშორისო ვაჭრობის დიდი წილი მოდის მსგავს ინდუსტრიებს შორის სავაჭრო ნაკადებზე, რაც დაკავშირებულია ვაჭრობის სექტორულ კომპოზიციასთან. მსგავს ინდუსტრიებს შორის ვაჭრობის მნიშვნელობების შესაფასებლად ვიყენებთ გრუბელ-ლოიდის GL (Grubel-Lloyd)<sup>1</sup> ინდექსს:

$$GL_k^{ij} = 1 - \frac{|X_k^{ij} - M_k^{ij}|}{X_k^{ij} + M_k^{ij}}$$

სადაც,  $X_k^{ij}$  არის  $i$  ქვეყნიდან  $j$  ქვეყანაში საქონლის ექსპორტი, ხოლო  $M_k^{ij} = j - i$  ქვეყნიდან  $i$  ქვეყანაში  $k$  საქონლის იმპორტი. ინდექსი მოთავსებულია [0-1] ინტერვალში. თუ რომელიმე სექტორში ქვეყანა მხოლოდ იმპორტიორია ან მხოლოდ ექსპორტიორი, ინდექსის მეორე წევრი გაუტოლდება 1-ს და ინდექსის მნიშვნელობა გახდება 0-ის ტოლი. ეს იქნება მსგავს ინდუსტრიებს შორის ვაჭრობის არარსებობის მაჩვენებელი. მეორე მხრივ, თუ ქვეყანა სექტორში ახორციელებს ექსპორტსაც და იმპორტსაც, ინდექსი ახლოს არის ერთთან და მიისწრაფვის 1-სკენ, რაც უფრო უახლოვდება ერთმანეთს იმპორტის და ექსპორტის მნიშვნელობები. გა-

1 GL ინდექსი მიესადაგება კრუგმანის მონოპოლისტურ-კონკურენტულ მოდელში განხილულ ვაჭრობის ანალიზს.

ნვითარებადი ქვეყნისთვის, რომელიც ინდუსტრიულ ქვეყანასთან ვაჭრობს, ამ ინდექსის მნიშვნელობის ზრდა კარგი მაჩვენებელია და ნიშნავს ქვეყნებს შორის შემოსავლების დონეებისა და ინდუსტრიული სტრუქტურის კონვერგენციას.

ცხრილში 2 მოცემულია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით გაანგარიშებული გრუბელ-ლოიდის GL ინდექსი. როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობის GL ინდექსის მნიშვნელობა 2015-2019 წლებში რამდენადმე მერყევი იყო. ამავე დროს, ინდექსის მაჩვენებლები მიუთითებს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ვაჭრობის სექტორული კონვერგენციის დონე დაბალია.

**საქართველოსა და EU ქვეყნებს შორის სექტორული კონვერგენციის შეფასება (ათასი აშშ დოლარი)**

ცხრილი 2

წლები	ექსპორტი	იმპორტი	GL ინდექსი
2015	644,729.9	2,082,429.4	0.47
2016	565,675.0	2,228,082.7	0.40
2017	655,435.8	2,225,014.7	0.46
2018	729,224.3	2,555,163.7	0.44
2019	819,242.4	2,407,237.3	0.51

2020 წლის სექტემბრის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, გეოგრაფიული კომპოზიციის ქრილით დათვლილი GL ინდექსი ნულის ტოლია საქართველოს სავაჭრო პარტნიორი 78 ქვეყნისთვის. აქედან 24 ქვეყანასთან<sup>1</sup> საქართველოს აქვს მხოლოდ საექსპორტო ხაზები. ამ ქვეყნებთან ექსპორტის ჯამური ღირებულება დაახლოებით 2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ხოლო, 54 ქვეყანასთან საქართველოს აქვს მხოლოდ საიმპორტო ნაკადები, რომელთა ჯამური ღირებულება არის 12.7 მლნ აშშ დოლარი, რაც 6.35 ჯერ მეტია ექსპორტზე.

აგრეგირებული ქრილით, ჯამური ექსპორტისა და ჯამური იმპორტის გამოყენებით დათვლილ GL ინდექსის საფუძველზე, შევარჩიეთ ტოპ-10 ქვეყანა, რომელთა მნიშვნელობები ახლოს არის ერთთან (იხ. ცხრილი 3). GL ინდექსის განმარტების თანახმად, მოცემულ ქვეყნებთან საქართვე-

1 .ალჟირი, ახალი ზელანდია, ეთიოპია, კუბა, ლიბია, მონტენეგრო, მონღოლეთი, ნიგერია, ტანზანია, ფიჯი, ქუვეითი, ალჟირი, კუბა და ა.შ.

ლოს ექსპორტისა და იმპორტის მნიშვნელობა ერთმანეთთან დაახლოებული სიდიდეებია. GL ინდექსის განსაკუთრებით მაღალი მნიშვნელობა შეესაბამება უზბეკეთს, ისრაელს და ბულგარეთს. სავაჭრო ნაკადები მაღალია ასევე, ბელარუსთან, ფინეთთან, ინდონეზიასთან.

**საქართველოს სავაჭრო ნაკადების გეოგრაფიული კომპოზიცია GL ინდექსით (ღირებულება - ათასი აშშ დოლარი)**

ცხრილი 3

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი	GL
უზბეკეთი	1523.3	1572.9	0.98
ისრაელი	951.4	908.6	0.98
ბულგარეთი	13082.3	12448.2	0.98
ბელარუსი	3392.4	3201.5	0.97
ფინეთი	271.0	252.5	0.96
ინდონეზია	730.0	799.3	0.95
ბანგლადეში	19.2	22.4	0.92
ჩინეთი	57375.6	66996.7	0.92
ყატარი	76.2	90.8	0.91
ლიეტუვა	2193.7	2623.1	0.91

გეოგრაფიული კომპოზიციის შემდეგ საინტერესოა სექტორული კომპოზიცია, რომლითაც განისაზღვრება, მოცემულ ქვეყნებთან, კონკრეტულად რომელ სექტორში აქვს საქართველოს მსგავს ინდუსტრიებთან ვაჭრობის პრაქტიკა. სექტორის დონეზე ინდუსტრიული კონვერგენციის არსებობას ვაანალიზებთ კვლავ GL ინდექსის გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა უზბეკეთი პირველ ადგილზე დგას სავაჭრო ნაკადების მნიშვნელობებით, ამ ქვეყანასთან საქართველოს ინდუსტრიული კონვერგენცია არ გააჩნია. ისრაელთან მსგავს ინდუსტრიებს შორის საქართველოს ვაჭრობა განვითარებული აქვს ნაბეჭდი წიგნების, გაზეთების, პოლიგრაფიული მრეწველობის სხვა ნაწარმის და ოპტიკური, ფოტოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, სამედიცინო ინსტრუმენტებისა და აპარატების სექტორებში, 0.8. ბულგარეთთან შავი ლითონების წარმოების სექტორში, 0.98, ხოლო ბელარუსთან არაორგანული ქიმიის პროდუქტების, ლითონებისა და რადიოაქტიური ელემენტების ნაერთების წარმოების სექტორში, 0.87.

სავაჭრო პარტნიორებს შორის, ევროკავშირის ქვეყნებიდან GL ინდექსის მიხედვით, გამოვყოფთ გერმანიას, ესპანეთს, ესტონეთსა და იტალიას (იხ. ცხრილი 4). ცხრილში მოცემულია GL ინდექსები ორივე, გეოგრაფიული და სექტორული კომპოზიციების მიხედვით. გეოგრაფიული კომპოზიციის მიხედვით ინდექსები ამ ქვეყნებთან საშუალო დონეს გვიჩვენებს. DCFTA-ის ფარგლებში, ევროკავშირის ქვეყნებთან ძირითადად საინტერესოა სოფლის მეურნეობის სექტორი და ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების სექტორი. სოფლის მეურნეობის სექტორში ვაჭრობის მაჩვენებელი იტალიასა და ესპანეთთან მაღალია – GL – 0,95-ს. ასევე მაღალია გერმანიასთან – GL = 0,82. სასმელების სექტორში საქართველოს მაღალი GL ინდექსი აქვს გერმანიასთან – 0.95, და ესტონეთთან – 0.83. თუმცა ინდექსების მაღალი მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქართველოს ამ ქვეყნებთან სოფლის მეურნეობისა და სასმელების სექტორში საქართველოს ინდუსტრიული კონვერგენცია აქვს. კონვერგენციაზე დასკვნა შესაძლებელია მაშინ, როცა ეკონომიკები ერთნაირი ზომის არიან.

**ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან მსგავს ინდუსტრიებში**

ცხრილი 4

ქვეყანა/სექტორი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	GL
<b>გერმანია</b>	10312919.01	23798799	34111718	<b>0.605</b>
ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი	425680.0975	383389.5	809069.6	<b>0.948</b>
მცენარეების თესლი და ნაყოფი; მცენარეები სამკურნალო და ტექნიკური მიზნებისათვის	99760.48228	69279.31	169039.8	<b>0.820</b>
<b>ესპანეთი</b>	14765811.14	7454239	22220050	<b>0.671</b>
ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები	43200	47672.1	90872.1	<b>0.951</b>
<b>ესტონეთი</b>	399115.5212	553324.2	952439.7	<b>0.838</b>
ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი	97044	141037.4	238081.4	<b>0.815</b>
<b>იტალია</b>	4015454.115	11089342	15104796	<b>0.532</b>
ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები	37999.74447	34665.85	72665.59	<b>0.954</b>



ევროკავშირთან საქართველოს ვაჭრობის გაიოლების ინდექსი თანმიმდევრულად უმჯობესდება, თუმცა, მომავალი წლების სამოქმედო გეგმის დღის წესრიგში კვლავ რჩება საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაცია და ევროკავშირის ბაზარზე ახალი საექსპორტო შესაძლებლობების ათვისება (ჯამაგიძე, 2019).

შემდეგი სააანალიზო მაჩვენებელია ექსპორტის ზრდის მარჯინები (Brühlhart, 1994). ლოგიკურია, რომ ქვეყნებს შორის ვაჭრობის პარადიგმები ფიქსირებული არ არის და დროში მუდმივად ვითარდება. ამასთან, სავაჭრო პოლიტიკის ინტერესია ვაჭრობის საპასუხო ლიბერალიზაცია, რომლის მიზანია ახალ ბაზრებზე წვდომა და ექსპორტის შესაძლებლობების გაფართოება, ე.ი. როგორც ვაჭრობის მოცულობის, ასევე სავაჭრო პარტნიორების რაოდენობის გაზრდა. შესაბამისად, გვაქვს ინტენსიური და ექსტენსიური მარჯინები. ინტენსიური მარჯინი გვაქვს, როდესაც უკვე არსებულ საექსპორტო მიმართულებებზე ხდება საექსპორტო პროდუქტების მოცულობის გაზრდა. ექსტენსიური მარჯინის შემთხვევაში ახალი საექსპორტო პროდუქტებით გავდივართ ახალ საექსპორტო მიმართულებებზე. როდესაც საექსპორტო პერიოდი შედარებით ხანგრძლივია, ვაფიქსირებთ, რომ მარჯინი მდგრადია.

ინდექსის გამოსათვლელად ვახდენთ დეკომპოზიციას. ვთქვათ, არის შიდა ეკონომიკიდან ექსპორტირებული იმავე პროდუქტების სიმრავლე ტერმინალურ პერიოდში. საბაზო პერიოდის ექსპორტს ვითვლით ღირებულებით მაჩვენებელში შემდეგი ფორმულით:

$$X_0 = \sum_{K_0} X_{k0}.$$

ანალოგიურად, ტერმინალური პერიოდის ექსპორტისთვის გვაქვს:

$$X_1 = \sum_{K_1} X_{k1}.$$

საბაზო და ტერმინალურ პერიოდებს შორის მთლიანი ექსპორტის ღირებულების ცვლილება ჩაიშლება შემდეგნაირად:

$$\Delta X = \sum_{K_0 \cap K_1} \Delta X + \sum_{K_1 / K_0} X_k - \sum_{\frac{K_0}{K_1}} X_k,$$

სადაც, პირველი წევრი არის ექსპორტის ვარიაცია ინტენსიურ მარჯინში, მეორე წევრი – ახალი პროდუქტების მარჯინი, ხოლო მესამე წევრი – პროდუქტის „მოკვდაობის“ მარჯინი.

საქართველოს ეკონომიკისთვის, საბაზო პერიოდად ვიღებთ 2020 წლის აგვისტოსთვის ექსპორტის სტატისტიკას, ხოლო, ტერმინალურ პერიოდად - 2020 წლის სექტემბრისთვის ექსპორტის სტატისტიკას და შემდეგ სურათს მივიღებთ:

$$X_0 = \sum_{k_0} X_{k_0} = 228 \text{ მლნ აშშ დოლარი};$$

$$X_1 = \sum_{k_1} X_{k_1} = 254 \text{ მლნ აშშ დოლარი};$$

$$\text{ინტენსიური მარჯინი} = \sum_{k_0 \cap k_1} \Delta X = 26 \text{ მლნ აშშ დოლარი};$$

$$\text{ახალი პროდუქტების მარჯინი} = \sum_{k_1/k_0} X_k = 96 \text{ ათასი აშშ დოლარი};$$

$$\text{პროდუქტის „მოკვდაობის“ მარჯინი} = \sum_{k_0/k_1} X_k = 106.44 \text{ აშშ დოლარი}.$$

დასკვნა შემდეგია: ექსპორტი შეიძლება გაიზარდოს არსებული საექსპორტო პროდუქტების ან ახალი პროდუქტების ექსპორტის ზრდით, ან საექსპორტო ხაზებზე ტრანზაქციების ჩავარდნით. საქართველოს შემთხვევაში ყველაზე დიდია ინტენსიური მარჯინი, ანუ ექსპორტი ძირითადად იზრდება არსებული პროდუქტების მეტი ექსპორტით, იმ ფონზე, რომ მხოლოდ ერთთვისანი მიმდევრობითი პერიოდები ავიღეთ. კარგად გამოიყურება ექსტენსიური მარჯინიც. დაბოლოს, ვხედავთ, რომ საექსპორტო ხაზების ჩავარდნის შემთხვევები დაკვირვების პერიოდში მინიმალურია.

პრაქტიკიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ ახალი პროდუქტების მარჯინის კონტრიბუცია ექსპორტის ზრდაში მცირეა. ამას ორი მიზეზი განაპირობებს, რომელთაგან ერთი – ტექნიკური ხასიათისაა, ხოლო მეორე – საკმაოდ არსებითია. პირველი არის ის, რომ პროდუქტი ექსტენსიურ მარჯინზე მხოლოდ პირველ პერიოდში ჩაითვლება, მეორე პერიოდიდან მოყოლებული გადადის ინტენსიურ მარჯინზე. აქედან გამომდინარე, თუ ფირმა პირველივე პერიოდში დიდი მოცულობით არ დაიწყებს ექსპორტს (რაც ნაკლებად მოსალოდნელია), ექსტენსიური მარჯინის ეფექტი, ბუნებრივია, მცირე იქნება. მეორე, არსებითი მიზეზია, ის, რომ ახალი ექსპორტიორების უმრავლესობა მოკლე პერიოდში ბაზრიდან გადის. განვითარებად ქვეყნებში საშუალო საექსპორტო სიცოცხლის ხარგრძლივობა ორი წელია. ბევრია ახალი საექსპორტო წარმოება, მაგრამ ასევე დიდია ბაზარზე შესვლისა და გასვლის ბრუნვა. ექსპორტის მდგრადობის გაზრდა, პირველ რიგში, მოითხოვს დაბალი სიცოცხლისუნარიანობის მიზეზების კვლევას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეკონომი-

კისტვის გააანალიზებულია ფირმების დაბალი საექსპორტო სიცოცხლისუნარიანობის ზოგიერთი მიზეზი (მეღითაური, 2020).

### ექსპორტის დივერსიფიკაცია და შედარებითი უპირატესობა

ექსპორტის დივერსიფიკაციის მარტივი საზომია ჰერფინდალის კონცენტრაციის ინდექსის შებრუნებული (Cadot, 2011). ინდექსს ვითვლით მთლიან ექსპორტში სექტორების წილის კვადრატების ჯამით. აღვნიშნოთ  $i$  ინდექსით ქვეყნები, ხოლო  $k$ -თი სექტორები. ჰერფინდალის ინდექსი იქნება:

$$h^i = \sum_k (s_k^i)^2.$$

სადაც,  $s_k^i$  არის  $k$  სექტორის წილი  $i$  ქვეყნის ექსპორტში (ან იმპორტში). ინდექსი მოთავსებულია  $1/K$ -სა და  $1$ -ს შორის.  $K$  არის ექსპორტირებული ან იმპორტირებული პროდუქტების რაოდენობა. საქართველოს ეკონომიკისთვის ჰერფინდალის ინდექსის ინტერვალია  $[0.0115; 1]$ . ხოლო ინდექსის მნიშვნელობა  $0.168$ , რაც ექსპორტის დივერსიფიკაციის დაბალ ნიშნულზე მიუთითებს.

მარტივი გადანყოფით შეგვიძლია ჰერფინდალის ინდექსის შკალა  $0$ -სა და  $1$ -ს შორის მოვათავსოთ. მივიღებთ სიდიდეს:

$$nh^i = \frac{h^i - 1/K}{1 - 1/K} = 0,158.$$

რომელიც ახლოს არის ნულთან და დივერსიფიკაციის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს. პროფ. გ. ლაღანიძის მიერ (ლაღანიძე, 2017) 2010-2015 წლებისთვის დათვლილ ჰერფინდალის ინდექსების მიხედვით, ექსპორტის კონცენტრაცია ასევე დაბალი იყო ევროკავშირის ქვეყნებთან, რაც, ავტორის შეფასებით, პოზიტიური მოვლენაა.

შევნიშნოთ, რომ თუ დივერსიფიკაციის ინდექსი დათვლილია მხოლოდ აქტიურ საექსპორტო ხაზებზე, ის ზომავს კონცენტრაციას ინტენსიურ მარჯინზე. ექსტენსიურ მარჯინზე დივერსიფიკაციას მარტივად გავიგებთ ახალი საექსპორტო ხაზების დათვლით. დივერსიფიკაცია როგორც ექსტენსიურ, ასევე ინტენსიურ მარჯინებზე ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად იცვლება, და მდიდარ ქვეყნებშიც ვხვდებით კონცენტრაციების გადანყოფას.

ცალკე საკითხია ის, თუ რამდენად არის სავაჭრო პოლიტიკის მიზანი დივერსიფიკაცია. ხანდახან კონცენტრაციას იწვევს დიდი საექსპორტო გარღვევები. დივერსიფიკაცია ამცირებს საექსპორტო რისკებს. ექსტენსიურ მარჯინზე დივერსიფიკაცია ქვეყანაში ბიზნესის კლიმატის კარგი მაჩვენებელია.

შედარებითი უპირატესობის ჩარჩოსგან განსხვავებით, ინდუსტრიული ვაჭრობის პარადიგმაში, ქვეყნის სპეციალიზაციის სქემა არ შეიძლება წინასწარ იყოს განსაზღვრული, დივერსიფიკაცია იზრდება ქვეყნის ზომის შესაბამისად (იხ. მაგალითად, კრუგმანის მონოპოლიური კონკურენციის მოდელი (Krugman, 1979) ან ბრენდერის და კრუგმანის საპასუხო დემპინგის მოდელი (Brander, 1983)). საქართველოს ეკონომიკისთვის პერფინდალის ინდექსის დაბალი მაჩვენებლის ამხსნელი ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება სწორედ კრუგმანის ქვეყნის ზომის არგუმენტი იყოს.

ინდუსტრიული პოლიტიკისადმი ინტერესის კვლავ გაღვივებამ გააჩინა შედარებითი უპირატესობის მქონე სექტორების იდენტიფიცირების მოთხოვნა. შედარებითი უპირატესობის ტრადიციული საზომია ბალასას (Balassa, 1965) შედარებითი უპირატესობის ინდექსი – RCA, რაც შემდეგნაირად გამოსახება:

$$RCA_k^i = \frac{X_k^i / X_k}{X^i / X}$$

ის გვიჩვენებს  $i$ -ური ქვეყნის ექსპორტში  $k$  პროდუქტის 1 წლის შეფარდებას მსოფლიო ვაჭრობაში ამ პროდუქტის წილთან. კერძოდ,  $X_k^i$  არის  $i$ -ური ქვეყნის  $k$  პროდუქტის ექსპორტის მოცულობა;  $X^i$  – ქვეყნის პროდუქტის მთლიანი ექსპორტი,  $X^i = \sum_k X_k^i$ ;  $X_k = \sum_i X_k^i$  არის  $k$  ექსპროდუქტის მსოფლიო ექსპორტი;  $X = \sum_i \sum_k X_k^i$  – მთლიანი მსოფლიო პორტი, როდესაც RCA კოეფიციენტის მნიშვნელობა მაღალია 1-ზე. ეს ნიშნავს, რომ  $i$  ქვეყანას აქვს  $k$  სექტორში შედარებითი უპირატესობა.

საქართველოს ეკონომიკისთვის საინტერესოა RCA ინდექსი სოფლის მეურნეობის სექტორთან მიმართებით. სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით გამოვთვალეთ მისი მნიშვნელობა 2018 წლისთვის. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO-ის) მიხედვით, 2018 წელს საქონლით მსოფლიო ვაჭრობა დაახლოებით  $X = 19$  ტრლნ აშშ დოლარია. სოფლის მეურნეობის

მთლიანი ექსპორტი იყო  $X^i = \sum_k X_k^i = 3,379.73$  აშშ დოლარი, ხოლო სოფლის მეურნეობის ექსპორტის მოცულობა კი  $X_k^i = 31.27$  მლნ აშშ დოლარი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით მივიღებთ, რომ  $RCA=0.1$ . ეს შედეგი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში შედარებითი უპირობებობა ახა გვაქვს.

## დასკვნა

თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებზე დადებითად აისახება, რასაც საქართველოს ვაჭრობის გახსნილობის ინდექსიც გამოხატავს, რომელიც 2015 წლიდან მოყოლებული, ზრდის ტენდენციას ავლენს. ამ ინდექსმა 2019 წლის მდგომარეობით, საკმაოდ მაღალ ნიშნულს – 0.751-ს, მიაღწია. მრავალ სავაჭრო პარტნიორთან, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებთან – გერმანია, ესპანეთი, ესტონეთი და იტალია, საქართველო მსგავსი ინდუსტრიების ქრილით ახორციელებს ვაჭრობას, რაც დადებითი მაჩვენებელია ამ ეკონომიკებთან სექტორული კონვერგენციის მიმართულებით. არასატარიფო ბარიერების გავლენისა და ქვეყანაში ინდუსტრიული წარმოების განვითარების ზოგად ფონზე, ლოგიკურია, რომ ექსპორტის დივერსიფიკაციის დონე დაბალია. დაბალია ასევე შედარებითი უპირატესობის ინდექსი DCFTA-ის ფარგლებში საინტერესო სოფლის მეურნეობის სექტორში. თუმცა, ლოკალურად, ეკონომიკის ექსპორტის ზრდის მარჯინები ნორმალურია.

## ლიტერატურა:

- (WTO) W. T. (2011). World Trade Report 2011: Preferential Trade Agreements. Geneva: WTO.
- Balassa B. (1965). Trade liberalisation and “Revealed” Comparative Advantage. The Manchester School 33, 99–123.
- Brander J. A. (1983). A “Reciprocal Dumping” Model of International Trade. Journal of International Economics 15(3–4), 313–321.
- Brühlhart M. (1994). Marginal Intra-Industry Trade: Measurement and Relevance for the Pattern of Industrial Adjustment . Weltwirtschaftliches Archiv 130, 600–613.
- Cadot O. C.-K. (2011). Export Diversification: What’s Behind the Hump? Review of Economics and Statistics 93(2), 590–605.

- Grubel H. G. (1975). Intra-Industry Trade: The Theory and Measurement of International Trade in Differentiated Products. New York: Wiley.
- Krugman P. (1979). Increasing Returns, Monopolistic Competition, and International Trade. *Journal of International Economics* 9(4), 469–79.
- Leamer E. (1988). “Measures of Openness”, in *Trade Policy Issues and Empirical Analysis*. Chicago: University of Chicago Press, 145–204.
- Nicita A. a. (2006). “Trade, Production and Protection 1976–2004”. *World Bank Economic Review* 21(1), 165–171.
- Organization W. T. (თ. გ.). *A Practical Guide to Trade Policy Analysis*.
- მელითაური, ნ. (2020). საქართველო-ევროკავშირის შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგები. „თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“.
- ლაღანიძე გ. (2017). ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობები ევროკავშირის ბაზარზე. *ეკონომიკა და ბიზნესი*.
- ჯამაგიძე, ლ. (2019). ინსტიტუტების იმპორტი საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების სფეროში. *ეკონომიკა და ბიზნესი*.

## **References:**

- (WTO) W. T. (2011). *World Trade Report 2011: Preferential Trade Agreements*. Geneva: WTO.
- Balassa B. (1965). Trade liberalisation and “Revealed” Comparative Advantage. *The Manchester School* 33, 99–123.
- Brander J. A. (1983). A “Reciprocal Dumping” Model of International Trade. *Journal of International Economics* 15(3–4), 313–321.
- Brühlhart M. (1994). Marginal Intra-Industry Trade: Measurement and Relevance for the Pattern of Industrial Adjustment . *Weltwirtschaftliches Archiv* 130, 600–613.
- Cadot O. C.-K. (2011). Export Diversification: What’s Behind the Hump? *Review of Economics and Statistics* 93(2), 590–605.
- Grubel H. G. (1975). Intra-Industry Trade: The Theory and Measurement of International Trade in Differentiated Products. New York: Wiley.
- Krugman P. (1979). Increasing Returns, Monopolistic Competition, and International Trade. *Journal of International Economics* 9(4), 469–79.
- Leamer E. (1988). “Measures of Openness”, in *Trade Policy Issues and Empirical Analysis*. Chicago: University of Chicago Press, 145–204.
- Nicita A. a. (2006). “Trade, Production and Protection 1976–2004”. *World Bank Economic Review* 21(1), 165–171.
- Organization W. T. (თ. გ.). *A Practical Guide to Trade Policy Analysis*.

- Melitauri N. (2020). sakartvelo-evrokavshirs shoris vachrobis liberalizatsiis she-degebi. [EU-Georgia Trade Liberalization Effects. Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Paata Gugushvili Institute of Economics International Scientific Conference Publication.] (in Georgian)
- Gaganidze G. (2017). kartuli produktsiis saeksporto potentsiali da konkurentuli up-iratesobebi evrokavshiris bazarze. [Export Potential and Competitive Advantages of the Georgian Products on the EU Market.Economics and Business.] (in Georgian)
- Jamagidze L. (2019.) institutebis importi sakartvelo-evrokavshiris savachro urtier-tobebis spheroshi. [Institution Importation in Georgia-EU Trade Relations. Economics and Business.] (in Georgian)

## **Analysis of Georgia's International Trade Relations**

**Nino Melitauri**

*Doctoral Student*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*nino.melitauri934@eab.tsu.edu.ge*

In the context of trade liberalization, governments have changed protectionist tools, and in many cases, they protect domestic industries with the variations of non-tariff barriers. Georgia has signed bilateral or multilateral trade agreements with many countries around the world, which aim to stimulate trade flows. However, despite the occurrence of the free trade regimes that relieve trade from the burden of tariffs, the effect of non-tariff barriers is in some cases full-scale. In the present article, against the background of these non-tariff barriers, an attempt is made to assess the effectiveness of stimulating Georgia's international trade flows using the following well-known indices in the economic literature: Trade Openness Index, Geographical and Sectoral Trade Composition Indices, Export Diversification Level Index, Export Growth Margin, and Sectoral Comparative Advantage Index.

In the present paper I conducted a detailed analysis about Georgia's current international trade flows. In particular, the structural characteristics and trade indices are estimated based on the export and import statistics for September 2020.

In international trade, indices help us to show the results of the country's trade activities. The trade results include: 1) Georgia's trade flows' quantity statistics, 2) What are trading commodities, and 3) who are Georgia's trading partners. The analysis of all three components is important, since each of them generates effects that have an impact on the domestic economy.

The country's trade volume is closely linked to trade openness, which measures the ability of the economy to integrate into world trade flows and in the global value chains. Trade openness can also be understood as an indicator of the "achievement" of trade policy.

As for the second topic, about trading commodities, it defines the structure of the imports and exports, connected to productive factors and the technologies available in the economy. Also, it is directly related to the diversification of the Georgia's exports and the country's comparative advantage.

The third topic - who are Georgia's trading partners - reveals the fact of how profitable the country's position is. For example, the existence of trade lines with growing and technologically strong markets will lead to the increase in the productivity of the economy. Geographical and territorial distances between countries are important here.

In the article we will see that free trade regimes have a positive impact on Georgia's international trade flows, which is reflected in Georgia's trade openness index. Georgia has many trading partners, including EU developed countries, to which it trades in similar industries, which is a positive indicator of sectoral convergence with these developed economies. We will also see that Georgian economy has a low level of export diversification. However, locally, the export growth margins of the economy are normal.

**Keywords:** Georgia, EU, international trade, WTO, trade indices.

**JEL Codes:** F40, P33, P45